



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №35

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. არჩეულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრის საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრი -თათია ჯინჯოლავა.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს: საჯარო სამსახურის ბიუროს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერი რუსია